135
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 214
ოქტომბრის 9, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 214
ოქტომბრის 9, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.

ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში: ანტონ კასრაძესთან.

განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერია“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარონს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ანგარიშზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა ასეთ საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—34)

№ 4. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 10 ოკდომბერს, 1902 წ.

ნუცა ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა:

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქ. კარეევისა, თარგ. შ. დადიანისა.

II

კვალ და კვალ

მხიარული კომედია 3 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, ჩხეიძე, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-დე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ლანდი“, „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურს ვარსკვლავზე“

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა სთხოვს მაყურებელთ წარმოდგენის დროს მსახიობთ ნუ გამოუძახებენ ხოლმე თავის დასაკვრელად.

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, ოთხშაბათს, 9-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

რიგოლეტტო

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

პირველ სადებიუტოდ, ჯილდას როლს შეასრულებს ქალბატონი ოლგინა—ჰერცოგისას ბ-ნი დნეპროვსკი—სპარაფუჩილესას ბ-ნი ტომაშევიჩი.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნი ოლგინისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, სკორუპსკისა, გრინჩენკო, ბ-ნნი დნეპროვსკი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, სერგეევი, პევცოვი, პეტროვი, სვობოდინი და სხვა.

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ხუთშაბათს, 10 ოკდომბერს, ტფილისის კრუჟოკში ოპერა გაიმართება, წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი“.

პარასკევს, 11 ოკდომბერს, თავ.-აზნ. თეატრში, წარმოდგენილი იქნება ოპერა **ჰუგენოტები.** რაულის როლს შეასრულებს ა. პ. **ბონაჩიჩი.**

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა

ივ. ფითოევი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შვაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.

წლ.

მთავრობის განკარგულებანი

ინსტრუქცია

საფაბრიკო ინსპექციას ავადმყოფ და დასახიჩრებულ მუშებისთვის შემწეობის აღმოსაჩენად.

1. დაავადმყოფებულ და დასახიჩრებულთათვის შემწეობის დარიგება კაპიტალის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

2. შემწეობა ეძლევა როგორც ავადმყოფთ და დასახიჩრებულთ, ისე მათ ოჯახებსაც. პირველ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად დაავადმყოფებულია, ან დასახიჩრებული მუშა, შეუძლია მას მუშაობა თუ არა. ოჯახს მხოლოდ მაშინ ეძლევა შემწეობა, როცა მუშა კვდება.

3. ერთ დროული შემწეობა ას მანათს არ ასცილდება, ვადიანი რვა მანეთს თვეში.

4. ვადიანის შემწეობის წინ-და-წინ მიღება შეიძლება მხოლოდ სამის თვით.

5. შემწეობის რაოდენობის შესატყობად შემდეგი ცნობებია საჭირო:

ა) რა გარემოებაში და რა მიზეზით მოხდა დასახიჩრება.

ბ) დასახიჩრების სიმწვავე.

გ) მუშის ოჯახი და მისი საჭიროება.

დ) რამდენ ხანს მუშაობდა მუშა სამრეწველო დაწესებულებაში.

ე) ხელფასის რაოდენობა დასახიჩრებამდე.

6. თხოვნები (პირადი, თუ წერილობითი) შემწეობის აღმოსაჩენად უნდა წარედგინოს საფაბრიკო ინსპექტორს.

7. საფაბრიკო ინსპექტორების მიერ დადგენილების განსაჩივრება არ შეიძლება.

8. შემწეობის მიღება შეიძლება საფაბრიკო ინსპექტორებთან. დასახიჩრებულთ და დაავადმყოფებულთ ავანსად (წინ-და-წინ) ეძლევათ არა უმეტეს 300 მანეთისა.

ტფილისი, 9 ოკდომბერს.

ჩვენში ფრიად იშვიათია, რომ ქართველმა ანდერძით დასტოვოს რაიმე თავის ქონებიდამ საზოგადო საქმისათვის. მხოლოდ ამ ბოლოს დროს თითო-ოროლა მაგალითი იყო, რომ ზოგიერთმა შეძლებულმა ქართველმა უანდერძა ცოტა რამ წვლილი თავისი ქონებისა სხვა-და-სხვა საზოგადო სასარგებლო საქმეს. ერთი ამ მაგალითთაგანია სამეგრელოს მთავრის განსვენებულის ლევანის ძის გრიგოლის ანდერძი. მან შესწირა 3000 მან. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი ეძლიოს ჯილდოდ სამს წელიწადში ერთხელ საუკეთესო თხზულების დამწერს ქართულს ენაზედ შესახებ ისტორიისა და ფილოლოგიისა. დაწვრილებით ამ ჯილდოს დებულება განმარტებულია ცალკე ინსტრუქციაში, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

§ 1.

სამარადისო პრემიას შეადგენს სარგებელი სამი ათასის მანეთისა, რომელსაც მე ვსწირავ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ იმ პირობით, რომ ეს ფული დარჩეს საუკუნოდ ხელ-უხლებლად და ინახებოდეს ან სახელმწიფო ბანკში ან რომელთამე სარგებლიანთ სახელმწიფოსგანვე უზრუნველ ყოფილთ ქაღალდებში.

§ 2.

პრემია მიეცემა სამ წელში ერთხელ იმას, ვინც შეადგენს და წარუდგენს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას: 1, საუკეთესო თხზულებას საქართველოს წარსულს ცხოვრებაზედ, 2, საუკეთესო ფილოლოგიურს გამოკვლევას ქართულის ენისას, და 3, საუკეთესო თხზულებას წარსულს და თანამედროვე ქართველ მწერლობაზე, როგორც საეკკლესიოზე, ისე სამოქალაქოზე.

შენიშვნა. საზოგადოების გამგეობამ, თუ საჭიროდ დაინახოს, დანიშნოს რიგი, როდის რაგვარ თხზულებას მიეცეს პრემია.

§ 3.

საკონკურსოდ დაწერილი თხზულება უთუოდ უნდა იყოს შედგენილი ქართულს ენაზე.

§ 4.

პრემია არასოდეს არ გაიყოფა ორად და არ მიეცემა ორს მწერალს.

§ 5.

თუ არც ერთი საკონკურსოდ წარდგენილი თხზულება არ იქნება ცნობილი პრემიის ღირსად, წლის პრემია მიემატება ხელუხლებელ თავნ ფულს.

§ 6.

პრემიის მიცემა გამოცხადდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრებაზედ.

§ 7.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკონკურსოდ შეტანილ თხზულებათა გარჩევა მოითხოვს დიდს შრომას, საზოგადოების გამგეობა მისცემს მშრომელთ თავნი ფულის სარგებლით შეძენილს მედალს ან ჟეტონს შესაფერის ზედ წარწერით.

§ 8.

თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ დაიშა-

ლოს, წევრთა კრებამ გადასწყვიტოს, რომელ დაწესებულებას გადაეცეს შეწირულობა, ეს იმ პირობით, რომ მიზანი შეწირულობისა დარჩეს შეუცვლელად.

გავახსენებთ მკითხველებს, რომ განსვენებულმა გრიგოლ დადიანმა შესწირა 1,500 მ. სტიპენდიის დასაარსებლად სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში ღარიბ შეგირდებისათვის.

ტფილისი

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება (ვეტცელის სასტუმრო) ახალგაზრდა სწავლული კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ინოსტრანცევი, რომელიც გამოგზავნილია იმპერატორ ალექსანდრე III სახელობაზე დაარსებულ მუზეუმის განზრახულ ეთნოგრაფიულ განყოფილებისაგან მოხსენებულ მუზეუმისათვის საეთნოგრაფიო კოლექციების შესაკრებად.

✦ კვირას, 6-ს ოკდომბერს წინამძღვარიანთ კარის სკოლას ეწვია გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დავით ზაქარიას ძე თავ. მელიქიშვილი. მან და მასთან ერთად იქ მისულმა გრ. ხ. დიასამიძემ დაათვალიერეს სასწავლებლების შენობანი, ბაღ-ვენახი და ყოველი მოწყობილობა, გამოსცადეს მოწაფენი და ნახულითა და გაგონილით დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. თავად-აზნაურობის წინამძღვარმა მელიქიშვილმა გამოთხოვებისას თვისი შთაბეჭდილება ჩასწერა სკოლის წიგნში და შეაქო ყოველი იქაური საქმე; დიდი მადლობა გამოუცხადა თვით ამ სკოლის დამაარსებელს და სულის ჩამდგმელს ბ-ნს ი. ი. წინამძღვარიშვილს.

✦ გუშინ-წინ, 7-ს ოკდომბერს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შემწეობა აღმოუჩინა ფულით და თუ წიგნებით რეხის (ბორჩალოს მაზრა) სკოლის მასწავლებელს ესტატე ლომიძეს.

— ამავე მასწავლებელმა ლომიძემ რეხიდგან ჩამოიყვანა ორი ქართველი ყმაწვილი; ამ ყმაწვილებს ქართული ენა სულ დაჰვიწყებიათ და თათრულად ლაპარაკობენ. წერა-კითხ. ს. გამგეობამ ეს ყმაწვილები თავის ხარჯით მიაბარა აღსაზრდელად წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში. წინამძღვარიანთ სკოლაში სწავლობს კიდევ ერთი რეხელი, ალექსანდრე ტოსიკაიშვილი (ზაზაშვილი). იგივე მასწავლებელი ლომიძე სცდილობს მონახოს ისეთი გაგებული ქართველი, რომელიც ამ ყმაწვილის აღზრდას იკისრებს თავის ხარჯით და მით იხსნის მას მოსალოდნელ გადაგვარებისაგან: ბავშვის მამა სიღარიბისა გამო აპირებს თურმე შვილის გამოყვანას და მის სოფელში წაყვანას. საკვირველი ის არის, მამებმა კარგად იციან ამ სოფელში ქართული და მოზარდ-თაობას-კი სულ დავიწყებული აქვთ თითქმის. ფრიად სასურველია, რომ გულ შემატკივარმა ქართველებმა მიაქციონ ყურადღება ამ სოფელს და იქაურს ქართველობას.

✦ კვირას, 13 ოკდომბერს, დანიშნულია მე-2 და მე-3 რაიონის ამომრჩეველთა კრება დანარჩენ ხმოსნების ამოსარჩევად, დილით ამოირჩევენ მესამე რაიონისას, საღამოზედ მეორე რაიონისას.

✦ გუშინწინ, 7 ოქტომბერს, მათი ბრწყინვალება თ. ხილკოვი ბრძანდებოდა სათავად-აზნაურო თეატრში და მოისმინა თავ. წერეთლის საოპერო დასის წარმოდგენა „პიკის ქალი“. მინისტრმა წარმოდგენის გათავებამდე დაჰყო თეატრში; მას თან ახლდნენ სხვათა შორის ტფილისის გუბერნატორი.

✦ დღეს, 9 ამ თვეს, პეტერბურგს გაემგზავრება გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი; მინისტრი წავა საქართველოს სამხედრო გზით, გზაში ინახულებს დევდორაკის საყინულეს.

✦ კვირას, 10 ოკდომბერს, ავლაბარში, პირველ საათზედ ქალაქის გამგეობა აკურთხებს მეორე ავადმყოფთა თავ-შესაფარის შენობებს.

✦ ქალაქის გამგეობაში წარმოადგინეს სია იმ ნივთებისა და ავეჯისა, რაც სიძველისა გამო უვარგისად უცვნიათ გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფარებში, სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, დეზინფექციურ კამერასა და ქალაქის საყასბოებში; ამ დაწესებულებათა გამგენი ითხოვენ ამ ნივთების მაგიერ შეძენილ იქმნას სხვა, ახალი ნივთები და ავეჯი.

✦ კავკასიის რკინის გზების მმართველობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, იღონეთ რამე და ქალაქის ექიმებისაგან დაწუნებული ფქვილები გაატანინეთ რკინის გზის ბარგის საწყობებიდგანო, თორემ დღითი-დღე ამ ფქვილის შენახვის ხარჯი მატულობს და გარდახდა ბოლოს საძნელო იქნებაო; ამას გარდა ქალაქის მოვალეობაა რკინის გზების მმართველობას გარდაუხადოს ამავე ფქვილის გადმოსატანიც, რაიცა აქამომდე მას არ მიუღიაო.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების უფროსს გამგეს ამ დღეებში უყიდნია ხორცის დუქნებისთვის 1,500 სული საკლავი საქონელი.

✦ ამ ჟამად, ქალაქის გამგეობას ბევრმა მამულმა მიართვა ქაღალდი და სთხოვს, შეიძინეთ საქონლისათვის თივა და საკვებიო.

✦ ქალაქის გამგეობამ დაჰნიშნა თავის ხუროთ მოძღვარი მიხეილის ქუჩაზედ დოღუხანოვის სახლის დასათვალიერებლად; სახლი სიძველისაგან გადმოსაწოლს არის.

✦ ტფილისის ქალთა საავადმყოფოებში 1 ოქტომბრიდგან 7-მდის ყოფილა 44 ავადმყოფი. თავისუფალი ადგილია 11. გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფარებში 1—7 ოქტომბრამდე 6 ავადმყოფი. თავისუფალი ადგილი 21-ა.

✦ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარებში ყოფილა 50 ავადმყოფი; ქალაქში გადამდებ სენით ავად გამხდარა 1—7 ოკდომბრამდე 4 ხუნაგით, 3 მუცლადით, 2 ქუნთრუშით და 1 ჩუტყვავილით; ეს ავადმყოფნი ასე დანაწილდებიან: 1-ლ განყოფილებაში—1; მე-5-ში—1; მე-8-ში—2 და მე-10-ში—8.

—

ქალაქის საბჭოს კრება. 7 ოკდომბერს, როგორც იყო, მოჰხდა ქალაქის საბჭოს კრება, თუმცა-კი ზოგიერთა ხმოსანთაგანი არ გამოცხადდა არც ეხლა.

საბჭოს მდივანმა, ს. თ. ჰრელაშვილმა, მოახსენა ხმოსნებს, რომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა გახსნას კიდევ რამდენიმე ხორცის დუქანი სხვა-და-სხვა უბანში, მაგრამ ამ კეთილს განზრახვას ფული უნდა და გამგეობას-კი სალარი არა აქვსო. ამაზედ **ნ. ვ. არღუთინსკიმ** განაცხადა: ჩვენ წინააღმდეგნი არ ვართ, რომ გამგეობამ ამ საგნისათვის ისესხოს ფული ქალაქის ამა თუ იმ საგანგებო თანხიდგან; ისესხოს დროებით საჭირო თანხა გამგეობამ და მოგვარჩინოს იმ ყვედრებას, რომელიც ახლა გაისმის ყოველ მხრივ და ყველასაგან, თუნდ იმ თანხიდგან, რაც გადადებულია ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად. **თაიროვმა** სთქვა: ჩვენ უკვე თითქმის გადაჭრილი გვქონდა, რომ გამგეობას ქალაქის ხორცის დუქნებების საჭიროებისათვის 50,000 მ. უნდა ესესხნა დროებით თუნდ იმ 300 ათას მანათიდგან, რაც გადადებულია ქალაქის ქუჩების მოსაწყობად, ქალაქს აქამომდე არა აქვს უბრალო მოწყობილობაც-კი ქუჩების მოსაჭირწლავად და ისიც ვინ იცის, როდის შევუდგებით ქუჩების მოკირწყვლას; თუნდა დაწყებულიც იყოს მუშაობა ქუჩების მოწყობისა, ეს 300 ათასი მანეთი ისრე მალე ხომ არ დაიხარჯება, რომ გამგეობას არ შეეძლოს ამ თანხიდგან ნასესხის ფულის ნაწილ-ნაწილად გარდახდაო. მეორეს მხრივ, ესეც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ახლა, ამ ჟამად, ხელსაყრელი არ იქნება ჩვენთვის ქაღალდების განაღდება, რადგანაც 100 მ. იძლევიან 89-საო. **შესტაკოვმა** სთქვა: განაღდება მოჰხდა, უკვე ამ ჟამად 25,000 მ. გასანაღდებელია და, სანამ კი ამ ფულს არ დავიბრუნებთ, დანარჩენის ქაღალდების განაღდება შეუძლებელიაო; ხოლო როცა ამ 25,000 მ. დავიბრუნებთ, მაშინ შევადგენთ კომისიას. **ფრიდონოვი**: რა საჭიროება მოითხოვს, რომ უეჭველად არ დაიხსნას ხორცის დუქნები, როცა ეხლა ყასბები უკეთეს ხორცსაც ჰყიდიან და იაფათაც, სანამ ქალაქის დუქნებშიო. **ჩერქეზიშვილი**: ხორცის დუქნების დახსნა საჭიროა, ამას ითხოვენ ქალაქის განაპირა მცხოვრებნი. **ბაზოვმა** განაცხადა: არ ვეთანხმები თაიროვის აზრს. ვეთანხმები უფრო ნ. არღუთინსკის, რომელიც წინააღმდეგია საგანგებო თანხიდგან სესხისა. ხორცის დუქნების საქმე დღითი-დღე ჩქარის ნაბიჯით მიდის შინ, შესაძლებელია, რომ დუქნების დამართვამ დიდი თანხაც მოითხოვოს, აქამდის-კი კომისიას არავითარი ანგარიში არ მოუცია იმისაც-კი, რაც დღემდე გაუკეთებია და დაუხარჯავს. ამიტომ საჭიროება მოითხოვს, რომ კომისიამ ყოველთვიური ანგარიში ჰბეჭდოს. **შესტაკოვმა** მოახსენა კრებას, რომ უკვე მზადდება ანგარიშიო. **ბეჟიხანოვი**: რადგანაც მოიპოვება საგანგებო თანხები ამ საქმისთვის, ამიტომ სესხი საჭირო არ არისო. თუ არა და ჯერ განაღდებულ იქმნას ეს ქაღალდები და მერე იმ ნასესხი ფულით გახსნით დუქნებიო. ან რა თავი გადუკლავს გამგეობას და გაიძახის, უნდა დავხსნათ ხორცის დუქნებიო; ჯერ ის გავიგოთ, რაში დაიხარჯა ის 20,000 მან., რაც მან გაიტანა ამ დუქნების მოსაწყობად. რაც შეეხება ქალაქის ქაღალდების განაღდებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფასობს იგინი ბირჟაზედ, უნდა განაღდდეს; მე მაშინ გირჩევდით ამ ქაღალდების განაღდებას, როცა ბირჟაზედ ასში 91,50 იძლეოდნენ. ეხლა-კი 89 იძლევიან და რა იქნება შემდეგში, ეგ ღმერთმა უწყის. ახლა ეს უბედურება გვატყდება თავსა, რომ ვალსა ტირაჟებითა ვწყვეტავთ; ამიტომ ვიშუამდგომლოთ, რომ ამ ქაღალდების ნაწილ-ნაწილად განაღდების ნება მოგვანიჭონ. ან რა საბუთია ის, რომ ჯერ 25,000 მ. გასანაღდებელიაო და ამიტომ ახლა დრო არ არისო; ხომ შეიძლება, რომ სხვა ობლიგაციებშიც დავკარგოთ. **ენფიანჯიანცი**: რაც შეეხება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლას, ეს დამოკიდებულია უსახელო საზოგადოებაზედ, რადგანაც ვიდრე ეგ საზოგადოება არ შეუდგება საქმეს, ქუჩების მოკირწყვლის დაწყება შეუძლებელია. სანამ ამ საქმეს შეუდგებოდნენ, მანამ წელიწად-ნახევარი კიდევ გაივლის, ეს ხანი საკმარისია, რომ ნასესხი ფული დაუბრუნდეს იმ თანხას, საიდგანაც ფული იქნება ნასესხები, შესაძლოც არის, რომ ამ ხანში ამ ქაღალდების ნაწილ-ნაწილად განაღდების ნებაც მივიღოთ. სიფთხილეზედ ლაპარაკი ახლა გვიანღაა, რადგანაც საბჭოს უკვე გარდაწყვეტილი აქვს 50,000 მ. იქმნას გაღებულ ხორცის დუქნების დასაარსებლად. **ჩერქეზიშვილი**: მე მაკვირვებს ზოგიერთას შიში. ჩვენ ხომ პატარები არ ვართ, შეგვიძლიან ყოველივე მოვიფიქროთ; თუ სესხი არ გინდოდათ, რაღ მიეცით ნება ესესხნა კომისიას ბანკიდგან 50,000 მან.? ჩვენ ეხლა ბანკი გვაძლევს $1^0/_0$-ს. და ეს ფული იქნება შენახული ბანკში 2 წელიწადი; თიბათვეში მივიღებთ 150 ათას მანეთს და ერთის წლის შემდეგ კიდევ 150 ათას მანეთს, რაც შეადგენს 300 ათას მან. მაშ რა საშიშოა, რომ ვერ შევუდგებით ქუჩების მოკირწყვლას. რაც შეეხება იმ აზრს, რომელიც აქ წარმოითქვა, ვითომ მოგვცემენ ნებას ვისესხოთ თუ არა ფულიო, ეს რა იმათი საქმეა, ან მათთვის სულ ერთი არ იქნება, სადაც უნდა ინახებოდეს ფული?! ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ და დავაარსოთ ხორცის დუქნები; მცხოვრებლები ითხოვენ დუქნების დაარსებას და ეს მათი კანონიერი სურვილი უნდა აღვასრულოთ უეჭველად.

(დასასრული ხვალ)

ჩვენებური ამბები

ზესტაფონი. როგორც წინა წერილში ვწერდი (ივერია № 200), რამდენმამე კაცმა აქედგან თხოვნა გაუგზავნა სახალხო სკოლების მზრუნველს, რათა ნება მიეცათ, ზესტაფონში წელსვე გახსნილიყო სამოქალაქო სასწავლებლის მეორე და პირველი მოსამზადებელი კლასები. როგორც გავიგეთ, აღნიშნული თხოვნა შეუწყნარებიათ და ნება დაურთავთ, წელსვე გაიხსნას სამოქალაქო სასწავლებლის მეორე კლასი. მეორე კლასის საჭირო სახლი და ყოველივე ავეჯეულობა უკვე მზად არის და სწავლაც დაიწყება ახლო ხანებში.

როგორც მოგეხსენებათ, წელს ზესტაფონელები გარდა სამოქალაქო სკოლის დაარსებისა, შეუდგნენ კიდევ ერთ ფრიად სასიქადულო საქმეს—თეატრის აგებას. თეატრისათვის ქვის საჭირო შენობა უკვე მზად არის და ამ მოკლე დროში უკვე გადახურვენ კიდეც.

არც აქაური, „ყვირილის სამარხი კასის“ საქმე მიდის ჯერ-ჯერობით ცუდად. სულ ექვსი თვე თუა, რაც დაარსდა და 350-მდე წევრი მოუპოვებია.

კაი ხანია, ზესტაფონში სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობს, რომელსაც დღემდის ბევრი ტანჯვა-წვალება გადახდა. წასული 1901 წლის ბოლო რიცხვებში მომხდარ წევრთა კრების დროს, როგორც ანგარიშიდან სჩანდა, სამკითხველოს, გარდა აღნიშნულ დაწესებულების შენობისათვის შეგროვილ ფულებისა, კიდევ ჰქონდა რამდენიმე თუმანი თავისუფალი ფული, რომლის გადიდებას, ჩვენის ფიქრით, ველოდით, მაგრამ სამწუხაროდ ეს ფულებიც დაიხარჯა, ხელუხლებელი თანხაც სადღაც გამქრალა და დღევანდელ გამგეთა მეოხებით სამკითხველოს რამდენიმე თუმანი ვალიც დასდებია, ზოგი სახლის ქირა და ზოგი წიგნთ-საცავისა. მართალია, სამკითხველო დღეს ამგვარ მდგომარეობაშია, მაგრამ, იმედია ის პატივცემულნი პირნი, რომელთა ქველმოქმედებას საზღვარი არ აქვს, არც ამ უკანასკნელ დროს უღალატებენ თავიანთ მიზანს და ავად თუ კარგად ისევ ისინი გამოაბრუნებენ ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული სამკითხველო ამა 1902 წ. 3 ივლისიდგან ითვლება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კუთვნილებად.

ზესტაფონელი.

—

ფასანაური. ზოგნი საიდან იწერებიან, ზოგნი საიდან: ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდაო, ეს საკვირაო სკოლაო, ეს თავშესაფარი ავადმყოფთაო და სხ. საცოდავი ფასანაური-კი ყველა ამას მოკლებულია. ამ ზაფხულს ფასანაურის ნასწავლებმა მოინდომეს დაეარსებინათ წიგნთ-საცავ-სამკითხველო. სახლიც იშოვეს, შეადგინეს სია, თხუთმეტამდე წევრმა მოიყარა თავი, ხელი მოაწერეს. პირველი გარდასახადი 15 მან. დაადგინეს, ხოლო წლიური—5 მან. ნებართვა-ღა იყო საჭირო, რომ თავი დაანებეს ამ კეთილს საქმეს და ბოლო ველარ გაატანეს. მას შემდეგ ზოგი გადაიყვანეს, ზოგი ავად გახდა და მოსარჩენად წავიდა, ზოგმა აღარ მოიწადინა და წახდა საქმე.

საკვირაო სკოლა ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია, თუმცა ძალიან საჭიროა. წარსულ ზამთარს ერთს კორესპონდენტს ჰქონდა „ივერია“-ში დასტამბული, ვითომ ფასანაურს აარსებენ სამკურნალოსაო, მაგრამ, თქვენი მტერი, რომ აქ ვერაფერს ეღირსნენ მთიულები! მართალია, ბოქაულმა გამოუცხადა ორ საზოგადოების ხალხს, ქვემო და ზემო მთიულეთის სამამასახლისოს, რომ მუდამ წელიწადში შეეტანათ რვა აბაზი კომლზედ სასარგებლოდ საავადმყოფოსი, მაგრამ თავიანთ ბეჩაობით ხალხმა უარი განუცხადა. მას შემდეგ დარჩა ესეც უყურადღებოდ. სამკურნალო-კი უეჭველად საჭიროა მთიულეთისათვის, რადგანაც სამაზრო ქალაქს მთიულეთის საზოგადოება დაშორებულია 40 დან 70 ვერსამდის. ამოდენა მაზრაში არის მხოლოდ ერთი სამაზრო ექიმი, და რაც გინდა გაჭირება იყოს, მთიულეთი მოკლებულია ამ ექიმს. და ამისთვის ხშირად გამოეთხოვებიან ხოლმე ამ წუთისოფელს უექიმოდ, უწამლოდ და უყურადღებოდ. 16-ს მარიამობისთვეს არახვეულმა შიო ბუქურმა შეჭამა რაღაცა ბალახი, რისა გამოც გამოც გაგიჟდა და გადიკარგა. მისი გვამი იპოვეს ენკენისთვის 17-ს ტყეში. ენკენისთვეში ფასანაურიდგან მეოთხე ვერსზედ დასჭრეს ქართლელი კაცი, რომელიც მოიტანეს ფასანაურში, კანცელარიის ოთახში დაასვენეს და მაშინვე დეპეშით შეატყობინეს დუშეთში ექიმს, ექიმი მოვიდა მხოლოდ მეორე დღეს საღამოს. მიუსწრო მიბინარებულს და სთქვა: „წინათაც რომ მოვსულიყავი, სულ ერთია, მოკვდებოდაო.“ ამაზედ ჰტყვიან, რომ „სანამ პეტრე მივიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“.

ურმით მოჰყავთ ხოლმე ავადმყოფები ფასანაურში, თითქო ეს დიდი ქალაქიაო, ექიმი იქნებაო. სადაც ერთი და ორი რუსია, ბეჩავთ ჰგონიათ, იქ სულ ყველაფერი იქნება და იშოვებაო. მაგრამ რა! უბრალო ქინაქინასაც

ფელეტონი

ხალხური ლექსები.

ეხლა ვეღარსად შეხვდები
ირემსა ქორ-ბუდიანსა,
ფერდასა მისსა ნაწოლსა,
ფოთლიან-ბალახიანსა!
ვეღარა ვხმარობთ თოფებსა,
ჟანგი შეგვიჭამს ტიალსა!
ვერა, ვერ ვნახავ მაჟარსა,
ჟანგიან-ტალახიანსა!
გავფერავ, ჩავყრი წამალსა,
დავადებ რგვალსა ტყვიასა.
მაშინ ხო გამომადგების,
გზას როცა წავალ მტრიანსა?!
მტერი რას იზამს ცხადლივა,
თუ მალვით მიზამს ზიანსა!
მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს,
ის ქალს ვითა სჯობს თმიანსა!
მხდალი ვერ დასწონს პირდაპირ
მუზარად-მახვილიანსა;
პირდაპირ ომი შეჰფერის
ვაჟკაცსა ლაზათიანსა!
— ხმალო, გაგყიდი პატრონი,
ვაჟარი აღმიჩენია!
— რაზედ გამყიდი, პატრონო,
რა ცუდი შეგიმჩნევია,
მომიკლავს შენი მომკვლელი
სხვა რა დამიშავებია!?

ჩემი პრაქტიკული ფილოსოფია.

(ფსიხოლოგიური წერილი).

ამას წინად ერთის ჩემის მეგობარ-ინტელიგენტისაგან შემდეგის შინაარსის ბარათი მომივიდა:

„ძმაო, ს—ო! შენი წერილი მივიღე. გიკვირს, თუ მე, საზოგადო მოღვაწეობის მოტრფიალემ, რად დავივიწყე ჩემი პირდაპირი მოვალეობა და ცოლის შერთვა განვიზრახე. ვერ წარმოგიდგენია, თუ როგორ შეიძლება ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საგნის ერთად მოთავსება: კერძო ოჯახისა და საზოგადოებრივ მოღვაწეობის?..

„ეს ჩემი გარდაწყვეტილება შენ, როგორც კოსმოპოლიტური იდეების მოთაყვანეს, შემთხვევას გაძლევს ჩემს ნაციონალურ მიმართულებას ახლო მომავალში სრული დამარცხება უწინასწარმეტყველო, დასცინო, „კარჩაკეტილის“ სახელი უწოდო და თანაც მირჩიო: გვერდი ავუარო ერთხელ არჩეულ გზასა, თავი დავანებო ცოლის შერთვასაც და დღეის იქით წევრად ჩავეწერო იმ ვითომდა-კოსმოპოლიტების დასში, რომელსაც შენ ეკუთვნი და რომლის მიმართულება ერთად-ერთ ჭეშმარიტ და გარდაუვალ მიმართულებად მიგაჩნია,,.

„გმადლობ რჩევისათვის, მუხლს ვიდრეკ შენი შორს-მხედველის წინასწარმეტყველობის წინაშე, მაგრამ არ შემიძლია-კი უპასუხოდ დავტოვო შენის ბარათის პრინციპიალური მხარე, ჩემი წერილი ვრცელი პასუხი იქნება შენის ბარათისა.

„აბა, ყური მომაპყარ!

I

„შენც დამეთანხმები, რომ ცოცხალი არსება მთლად ენერგიაა: მისი ორგანიზმი შრომასა და მოძრაობას მოითხოვს, ხანდახან ეს მოთხოვნილება ბრძოლაშიაც გამოიხატება ხოლმე; არ შეუძლია არ იშრომოს, იბრძოლოს და იმოძრაოს. ვისაც ეს მოთხოვნილება არა აქვს, ის არც ცოცხალია,—და ღმერთმა სულთათანა აღსრულებულთასა განუსვენოს“. მე ცოცხალი ადამიანი ვარ და არ შემიძლია არ ვიშრომო, არ ვიბრძოლო და არ ვიმოძრავო...

„რა თქმა უნდა, მე რომ მე-XVIII საუკუნეში ან მიწის მუშა გლეხის ოჯახში დავბადებულ და აღვზრდილიყავ, ეს მოთხოვნილება ან ხმლით ბრძოლაში გამოიხატებოდა ან მიწის მუშაობაში; მაგრამ იმ დრომ და იმ წრემ, რომელშიაც მე დავიბადე და აღვიზარდე, ჩემს ბრძოლა-მოქმედებასაც შესაფერი ხასიათი არგუნა: ჩემი ბრძოლა არის ბრძოლა კულტურული, ჩემი შრომა, შრომა გონებრივ-ზნეობრივი; მე ვიბრძვი და ვშრომობ არა ხმლით და თოხით, არამედ კალმით, სიტყვითა და ზნეობრივის გავლენით. ამითი ვაგებ პასუხს, ამითი მაქვს გავლენა ახლო ნაცნობებზედაც...

„ამ სახით, ჩემმა აღმზრდელმა წრემ და თანამედროვე ვითარებამ განსაზღვრულის ხასიათის საბრძოლ-საშრომი იარაღი მომაწოდა; ესევე ვითარება მაწვდის, მიჩვენებს, თვალწინ მიყენებს იმ **საგანსაც**, რომელსაც იმ იარაღით უნდა ვემსახურო. ეს საგანია **მშობელი ერი**, ანუ კაცობრიობის ის პატარა ნაწილი, რომელსაც ქართველობა ეწოდება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩემი ბრძოლა მუშაობა საზოგადოებრივ-ნაციონალური სახისაა. მე არ შემიძლიან ვიწრო ოჯახურ პიროვნულ სფერით დავკმაყოფილდე: ოჯახურ-პიროვნული თითქმის ყოველივე წარმავალია, ის მშრომელთან ერთად კვდება და ეძლევა დავიწყებას; მე-კი მსურს ჩემს მოქმედებას, რაც შეიძლება, **ფართე და უკვდავი** მნიშვნელობა ჰქონდეს, მსურს, რომ ჩემმა მოღვაწეობამ, თუ გმირული და ყველასათვის თვალსაჩინო ვერაფერი შეჰქმნა, ხალხში **ნიადაგი მაინც მოამზადოს**, რათა კაცობრიობის იმ ნაწილის განვითარებაში, რომელსაც ქართველობა ეწოდება, მეც შევიტანო ჩემი წვლილი და მით **ისტორიისათვის უკვდავ-ვჰყო ჩემი მოქმედება.** ერთის სიტყვით, მე ვეძებ მოქმედებას უკვდავს, სამარადისოს; ხოლო, რადგან უკვდავი მხოლოდ კაცობრიობაა (და არა კერძო კაცი), ამიტომ უკვდავიც მხოლოდ ის მოქმედება იქნება, რომელიც ამ კაცობრიობის მერმისთან, მის წინსვლა-განვითარებასთანაა მჭიდროდ შეკავშირებული. მე ვემსახურები კაცობრიობის ერთ ნაწილს და, ამდენადვე ვემსახურები მთელს კაცობრიობასაც.

„ამ რიგად, როგორც ცოცხალი არსება, მე ვმოქმედობ; ხოლო, როგორც წევრი კაცობრიობისა, ვმოქმედობ კაცობრიობის ერთ-ერთი ნაწილისათვის, რომელსაც ქართველი ერი ეწოდება.

„მაგრამ, შეიძლება მკითხო: წარმოადგენს-კი ჩვენი ქართველი ხალხი ნამდვილ ერს, ე. ი. ისეთს სოციოლოგიურს ერთეულს, სხვა ერებისაგან განსხვავებულ თვისება-ნიშნეულობათა მქონეს, რომლისთვისაც ღირდეს და შესაძლო იყოს განსაკუთრებულ ნაციონალურ სამსახურის გაწევა ისე, რომ ამითი მთელი კაცობრიობის სხვა ნაწილს, სხვა ერს არა ევნოსთ-რა?

„აი, ჩემი პასუხი:

„მე ვეკუთვნი ერთ პატარა ხალხს, რომელსაც—

1) ჰქონებია ხანგრძლივი და საკმაოდ ბრწყინვალე **ისტორიული წარსული**, და აქვს ამ წარსულის მიერ შექმნილი და აწმყოში განვითარებული: **ენა, მწერლობა, ხელოვნება** და განსაკუთრებული **ზნე-ჩვეულებანი**;

2) აქვს **საკუთარი ტერიტორია** (ორი გუბერნია), რომელიც იმპერიის ერთ-ერთ განაპირას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრით, აქვს მდიდარი და მშვენიერი **ბუნება**: მთა-მადნები, ზღვა, ჰავისა და ნიადაგის უპირატესობა, რაც ძალაუნებურად მტკიცედ ამკვიდრებს ამ ტერიტორიაზედ მათს შვილებს;

3) უკანასკნელ, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, მას აქვს **სურვილი იცოცხლოს**, იცოცხლოს ეროვნულად, და შესწევს ძალა-

ვერ იშოვის კაცი ფასანაურში. რომ გაუჭირდებათ, მიჰმართვენ საქონლის ექიმს, მაგრამ რას იზამ. გინდაც რომ გასწავლოს რამე, ისევ დუშეთში უნდა წავიდეს კაცი და, სანამ ბობრუნდება და მოიტანს წამალს, ავადმყოფს თავისი ემართება. კარგი იქნებოდა, რომ ერთი უბრალო ფერშალი მაინც დაენიშნათ ფასანაურში და რითიმე დაეკმაყოფილებინათ მთიულთა დიდი მოთხოვნილება.

კოტე ფასანაურელი.

კავკასია

განჯა. ენკენისთვის პირველი ნახევარი ცივი და წვიმიანი იყო. მაღლობ ადგილებში თოვლი მოვიდა. ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედა ყურძენზედ: შიშობენ, ვაი თუ ღვინო ვერ დადგეს გემოიანი და მაგარიო.

პურის მოსავალი წრეულს აქეთ არ იყო ურიგო. აქაურ ბაზარში საუკეთესო ხორბალი, გარჩეულ-განიავებული იყიდება 80—90 კ. ფუთი ყურძენიც შარშანდლზედ იაფი იყო და არის. ეხლა ფუთი 1 მ. 50 კ.—1 მ. 80 კ. ფასობს. შარშან გაცილებით უფრო ძვირი იყო ყურძენი. ყურძნის ფასის დაწევაზედ, როგორც ამბობენ, იმოქმედა ერევნის გზის გაყვანამ: ეხლა ერევანი უგზავნის ტფილისს ყურძენს, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება განჯურს.

აქაური საქალაქო სასწავლებელი, რომელშიაც 640 შეგირდი სწავლობს, დღემდის ნაქირავებ სახლებში იყო მოთავსებული. ეს სახლები ყოვლის მხრივ უვარგისი იყო. ამ ორი წლის წინად სკოლის უფროსის ბ-ნ ცერცვაძისა და ქალაქის თავის ბ-ნ კოგნოვიცკის მეცადინეობით აქაურმა ქალაქის თვითმმართველობამ გარდასწყვიტა აეგო საქალაქო სკოლისათვის საკუთარი სამ სართულიანი შენობა. საქმეს მხნედ შეუდგნენ და მშვენიერი შენობა ააგეს, რომელიც დაუჯდა ქალაქს 60 ათას მანეთზედ მეტი. მაგრამ ყოველ კეთილ საქმეს თან ბოროტიც დასდევს. გამოჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც ჯერ „ნორდარში“ და მერმედ „Новое Обозрѣніе“-ში ამტკიცებდნენ, რომ საქალაქო სკოლისათვის აფსუსია ესეთი შენობაო, ამიტომ წავართვათ ეს შენობა და გავხსნათ ტეხნიკური სასწავლებელიო. რაკი აღმოჩნდა, რომ ტეხნიკური სასწავლებლისათვის წელი არ შესწევდათ, შეუდგნენ პროპაგანდას, კომმერციული სასწავლებელი გავხსნათო. შეადგინეს თხოვნა გუბერნატორის სახელობაზედ, მოაწერინეს ხელი 360 ვიღაც-ვიღაცეებს, რომელთათვისაც სულ ერთია, იქნება თუ არა რაიმე სასწავლებელი განჯაში, და მიართვეს გუბერნატორს, რომელმაც ეს თხოვნა ქალაქის თვითმმართველობას გარდასცა გასარჩევად. თხოვნა ყოვლის მხრივ სასაცილოა. მის შემდგენელთ არავითარი გაგება არ ჰქონიათ კომერციულ სასწავლებლის და მის პროგრამმისა. სხვათა შორის, წართმევის მოტივად ის მოჰყავთ, რომ რაკი „შენობა დიდი და ლამაზი გამოვიდაო, ეხლა აღარ გვსურს, საქალაქო სკოლა მოთავსდეს შიგაო“. თუმცა გამგეობა და ქალაქის თავი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ საბჭომ გარდასწყვიტა, დროებით მოვათავსოთ შიგ საქალაქო სკოლაო, ავირჩიოთ კომისსია, რომელმაც უნდა შეკრიბოს საჭირო ფულიო და შემდეგ ამისა ვსთხოვოთ ფინანსთა მინისტრს, კომმერციული სასწავლებელი გაგვიხსნასო. თუ ეს აზრი სისრულეში მოიყვანეს, მაშინ აი რა უნდა მოხდეს: საქალაქო სკოლისათვის ან უნდა ახალი შენობა ააგონ, ან არა და სხვა სახლები დაიქირაონ. რაც დიდი სახლები იყო 9—10 წლით შემახიის პოლკმა დაიქირავა, ახალი შენობის აგებას ქალაქი ვერ შესძლებს, ან თუ ააგო, გაცილებით პატარა უნდა ააგოს, 300 შეგირდისათვის, დანარჩენი 300 მეტი შეგირდი უნდა სკოლის გარეთ დარჩნენ, ვინაიდგან ტყუილი იმედი აქვთ ზოგიერთ ვაჭბატონებს, ვითომ ეს 300 შეგირდი კომმერციულ სასწავლებელში გადავიდნენ: სკოლაში მომეტებული ნაწილი ღარიბთა შვილნი სწავლობენ, რომელთაც წელიწადში 20 მან. ვერ შემოუტანიათ და სად შესძლებენ 80—100 მანეთის ხარჯის გაწევას. გამოდის, რომ იმ ვაჭბატონებს, რომელთაც ასტეხეს მთელი ეს დავიდარაბა, არაფრად შესტკივათ გული იმ ღარიბთათვის, რომელთათვისაც არის საქალაქო სასწავლებელი. მდიდართა შვილები ადგილობრივ გიმნაზიაში სწავლობენ, იგინივე მისცემენ თავიანთ შვილებს მომავალ კომერციულ სასწავლებელში. ამნაირად კომმერციული სასწავლებელი უნდა გაიხსნას საქალაქო სკოლის შენობაში იმიტომ, რომ ღარიბნი უსწავლელნი დარჩნენ და მდიდართ-კი ერთი სასწავლებელი შეემატოთ. იმათ შეუძლიანთ თავიანთი შვილები მიაბარონ ადგილობრივ გიმნაზიაში,ან არა და გაგზავნონ. როგორც ეხლა შვრებიან, ბაქოში — გუმბრში ან ტფილისში.ხ ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, მდიდარი თუ ღარიბი, მაძღარი თუ მშიერი.

ვ. ჯაფარიძე.

რუსეთი

ხმა დადის, რომ ამ უკანასკნელს დროს განქორწინების შესახებ აღძრული საგანი სასულიერო კონსისტორიიდან გარდაეცემა საერო სამსაჯულოსაო. საჭიროა მხოლოდ ამ გადაწყვეტილებისათვის უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცება. საქმის წარმოება ადგილობრივ ოლქის სასამართლოს ხელში იქნება, მისი განაჩენი გარდაეცემა განსახილველად უწმიდეს სინოდს.

— პროფ. პ. გეორგიევსკის წინადადება, რომ დაარსებულ იქმნას ს.-პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტთან განსაკუთრებული დოცენტურა სამეურნეო ეკონომიისა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციამ მოიწონა და სცდილობს მოიპოვოს ღონისძიება ამ საქმის განსახორციელებლად,

— ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ პეტერბურგში 2 ოკდომბერს გახსნა იაფი სასადილო. იმ დღესვე სასადილო ოთახები მოსადილე სტუდენტებით სავსებით აივსო.

— საიმპერატორო რუსეთის ფრინველთა მოშენების საზოგადოება 19—22 ოკდომბერს პეტერბურგში მოაწყობს ფრინველთა მოშენების კონკურსს. კონკურს აზრად აქვს ხელი შეუწყოს სასარგებლო და სხვა-და-სხვა ჯიშის ფრინველების გავრცელებას.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია ორი მეტად საყურადღებო წერილი როზბერისა. ეს წერილები იმითია გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ლიბერალები თავის ძალ-ღონეს არა ჰზოგავენ, როგორმე შეერთდნენ და დაამხონ კონსერვატიული მთავრობა.

დეპუტატ ბლეკს, რომელიც მიწვეული იყო ედინბურგის მიტინგზე დასასწრებლად, წერილით მიუმართავს როზბერისათვის და შეჰკითხებია, როგორ უნდა გვესმოდეს თქვენი განცხადება—სრულიად განვშორდი ქვედა პალატის ლიბერალთა დასის ლიდერს კემბელ-ბანერმანსაო,—მართლა სრული განხეთქილება მოჰხდა თქვენს შორის და აღარ აპირობთ შერიგებას, თუ მხოლოდ დროებითი იყო იგიო. ლორდ როზბერს პასუხად მიუწერია (25 სეკდემბერს): „მე იმ აზრსავე ვადგივარ, რომელიც ჩესტერფილდში გამოვსთქვი და არცა ვფიქრობ, ვუღალატო მასაო (მაშინ როზბერმა განაცხადა, აუცილებლად საჭიროა ხელახლად გადასინჯულ იქმნას ლიბერალთა პროგრამაო). სერ ჰენრიმ (კემბელ-ბანერმანმა) გაჰკიცხა პოლიტიკა, რომელსაც მე ვესარჩლებოდი. წაიღო უკანვე სერ ჰენრიმ თავისი ბრალდება თუ არა? თუ წაიღო, მაშასადამე,ცვლილება მომხდარა; თუარა და, უწინდელსავე მდგომარეობაში ვყოფილვართ. თუ რომ ლიბერალთა დასი მიიღებს ჩესტერფილდის პროგრამას, მე დიდის სიამოვნებით დავუთმობ ჩემს ადგილს სხვებს. მაგრამ, სანამ ჩემს პოლიტიკას ბრალსა სდებენ, მე უნდა ჩემს ადგილზე ვიყო, რომ დავიცვა იგიო“. მეორე წერილში ლორდ როზბერი უარს აცხადებს,—ბლეკის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ ჰიპოტეტიურ საკითხზე მე პასუხს არ გავცემო.

როზბერის წერილებს დიდად დაუღონებია ლიბერალები; მათი ორგანი „Daily News“-ი ნაღვლიანის კილოთი ამბობს:

„ლორდ როზბერის განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიბერალთა დასის მომავალისათვის. ეს დასი მზად იყო ბევრი რამ დაეთმო კეთილ-შობილ ლორდისთვის და სოლცარის მოთმინებითაც ეკიდებოდა მას. მაგრამ ეხლა აღმოჩნდა რომ ყოველივე კეთილმავე ცდამ ფუჭად ჩაუარა ლიბერალებს. საქმე გამოირკვა. როზბერის გადაწყვეტილი აქვს, სრულიად შესწყვიტოს ყოველივე დამოკიდებულობა ლიბერალთა უმრავლესობასთან. ჩვენ დიდად ვწუხვართ, რომ ასე მოჰხდა, მაგრამ სრულიადაც არ ვვარდებით სასოწარკვეთილებაში. ლიბერალთა დასი გაუძლებს მეთაურის დაკარგვას, მაგრამ იგი ვერაოდეს ვერ გაუძლებდა პრინციპთა დაკარგვას. ეს დასი არაოდეს არ უღალატებს თავის რწმენას, არ უღალატებს აგრეთვე თავის ეხლანდელს ლიდერს სერ ჰენრი კემბელ-ბანერმანსაო.

საფრანგეთი. რადიკალთა კონგრესმა უკვე დაასრულა თავისი სხდომები ლიონში.

კონგრესმა, როგორც იყო, მოასწრო დამტკიცება რადიკალთა დასის პროგრამისა; ამ პროგრამით შემდეგი მოთხოვნილებანი უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული: ეკკლესიისა და სახელმწიფოს განთვისება, გაუქმება ფალუს კანონისა (სწავლა-განათლების საქმის თავისუფლად წარმოების შესახებ), შემოღება პროგრესიულ გადასახადისა კაპიტალსა და შემოსავალზე, გადასახადთა შემსუბუქება მიწის საშუალოსა და მცირე მესაკუთრეთათვის, სამხედრო ბეგრის ვადის ორ წლამდე შემცირება, (რომელიც დეპუტატთა პალატამ უკვე მოიწონა პრინციპიალურად), გაუქმება მოსამართლეთა გამოუცვლელობისა (ამით უნდათ გაანთავისუფლონ მაგისტრატი რეაქციის ელემენტთაგან) და გაუქმება სამხედრო სასამართლოებისა.

შემდეგი კონგრესი უნდა მოჰხდეს მომავალ 1903 წ. მარსელში.

— გასულ კვირას ცეზულში რესპუბლიკელებმა გამართეს ნადიმი, რომელზედაც ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა ვალლემ. საყურადღებოა ის ადგილი მინისტრის სიტყვისა, სადაც ეხება სამინისტროს პროგრამას.

მიუხედავად ჩვენის მოპირდაპირეთა წინააღმდეგობისაო,—სთქვა ორატორმა,—ჩვენ არ ვუღალატებთ ჩვენს პროგრამასა და კიდეც გავიტანთ ღელოსაო. ჩვენი პროგრამა იმაში მდგომარეობს, რომ შევამციროთ სამხედრო ბეგრის ვადა, გავაუქმოთ ფალლუს კანონი, შემოვიღოთ გადასახადი შემოსავლის მიხედვით და შევიმუშაოთ მუშათა საპენსიო კასის პროექტიო.

ავსტრია-უნგრეთი. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთებში ავსტრიის საწინააღმდეგოდ მეფე მათე კორვინის ძეგლის დადგმის გამო მომხდარმა დემონსტრაციამ.

თვით დღესასწაულმა მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ჯარები და სამხედრო ორკესტრი არ დასწრებოდა ძეგლის კურთხევას. ამის გამო ერცჰერცოგ ფრანც-იოსებს დაუხვდნენ უნგრელთა საგალობლით, და არა ძველებურ ავსტრიულ „Gott erlalte Franz den Kaiser“-ით: მაგრამ იმ საღამოზედვე, როცა ერცჰერცოგი და მინისტრ-პრეზიდენტი ხელლი სადგურისაკენ გაემგზავრნენ წასასვლელად, დემონსტრატებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. როდესაც სადგურზე სამხედრო ორკესტრმა ავსტრიის ეროვნული საგალობელი დაუკრა, დემონსტრატებმა, რომელთა რიცხვი რამოდენსამე ათასს აღემატებოდა, დასძახეს უნგრეთის ეროვნული საგალობელი და მერე ზედ მოაყოლეს კოშუტის სიმღერა. დემონსტრაციამ მით უფრო შეაშინა დამსწრე საზოგადოება, რომ მატარებელმა ნახევარ საათით დაიგვიანა, და ხალხი-კი არა სცხრებოდა.

ბულგარია. მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა ინახულა მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე, რათა მოლაპარაკებოდა მაკედონიის საქმეთა შესახებ. ამასთანავე დანევმა განაცხადა, ამ ჟამად ბევრსა ვმუშაობ მაკედონიის საქმეთა შესახებაო, და იმედი მაქვს, შემთხვევა მომეცემა, რომ ეს საკითხი ჰააგის სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გასარჩევადაო.

იტალია. იტალიის მთავრობას—როგორც რომიდგან იტყობინებიან—მოლაპარაკება გაუმართავს არგენტინის რესპუბლიკასთან, იტალია და არგენტინა მარკონის უმავთულო ტელეგრაფით შეაერთოთო. იტალიის ვაჭრობათა მინისტრს მარკონისაგან პასუხად მიუღია, რომ ეს ტელეგრაფი 750,000 ფრანკი დაჯდებაო. თითო სიტყვის გადაცემისათვის ამ ტელეგრაფით თითო ფრანკი იქნება დადგენილი.

პორტუგალია. პორტუგალია და ჩინეთი მალე მოაწერენ ხელს იმ ხელშეკრულობას, რომლითაც გაფართოებულ უნდა იქმნას პორტუგალიის ტერიტორია მაკაოში. პორტუგალიამ უნდა მიიღოს ჩინეთის საბაჟო ტარიფი, რომელიც ინგლის-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულობის მიერაა დაწესებული.

სხვა-და-სხვა წერილები

სამი გმირი

(ბბ. კიტა აბაშიძე, ზდანოვიჩი და რგანელი)

IX

(დასასრული*)

„საბრალოა მხოლოდ ჩვენი დაბეჩავებული და დაავადმყოფებული საზოგადოება: ამ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ასე დაუსჯელად, ასე რიხიანად და გაბედვით გამოვიდეს ვინმე, თუ გინდ ბ-ნის სიმონ ქვარიანის პოეტურის „ნიჭით“ იყოს შემკული და ასე „უპრავონოთ“ მოსცხოს ჩირქი საქმის რიგიან მუშაკებს(?), ხოლო თავისავე უშინაარსო ლაპარაკით საქმეს ზარალი მისცეს“. *) ამ მხურვალე ფილიპიკით ათავებს კაცხის დემოსთენი თავის საპოლემიკო წერილს. „Ergo censeo Kvariani dillendum esse“! აი, ამგვარი აზრით ათავებს თავის პოლემიკას ეს ჭიათურის კატონი.

მკითხველმა უკვე სცნო, ვინც ბრძანდება ბ-ნი გ. აბაშიძე. ჩვენ ნათლად ვსცანით ამ ბატონის ზნეობრივი ფიზიონომია. ამ პირმა თავის გრძელ წერილებში ვერც ერთი მართლად დასაბუთებული და ქვარიანის გასამტყუნარი ფაქტი ვერ მოიყვანა და თუმც დაგვისახელა ორ-სამ ალაგს კომისიის ოქმი და საზოგადოების წესდების მუხლები, მაგრამ მით თითონვე გამტყუნდა. ტყვია მსროლელს მოხვდა გულში. დანარჩენი ნაწილი მისი წერილებისა არის უშვერი ლანძღვა-გინება, უსაზღვრო ცილის წამება, სნეული მედიდურობა და ფაქტების საშინელი დამახინჯება. აი პოლემიკის მშვენიერი თაიგული! აქ მაკვირვებს კიდევ ერთი რამ: ნეტა რას ერჩოდა ეს უკურნელი პესიმისტი, ბ. აბაშიძე, რომ არ იკმარა მარტო ნიშანში ამოღებული ქვარიანი და გალანძღა მთელი ჩვენი მკითხველი, მომქმედი და შეგნებული საზოგადოება, რომელსაც უწოდა დაბეჩავებული და დაავადმყოფებული“?! სწორედ არ გვეგონა, თუ ადამიანის კადნიერება ავიდოდა ამ სიმაღლემდე! მაგრამ ნუ გიკვირს, მკითხველო! ბრძენთაგან თქმულა, რომ ყოველი კაცი თავის საზომით ზომავს სხვებსაცო.

ამ პასუხში-კი ვეცადეთ საქმის ახსნით და ნამდვილი საბუთებით დაგვერღვია თავიდგან ბოლომდე ჩვენი მოკამათის სამარცხვინო ქსოვილი და გაგვექრო ბავშვების მოსატყუარი საპნის ბუშტები. მივაღწიეთ, თუ არა მიზანს, ეს მკითხველის საქმეა. **)

ჩვენი პირველი წერილი ერთიანად (იხ. „ივერია“ № 141) და აქაც ბევრი რამ უმთავრესად მიმართულია ბ-ნ გ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ის ბრძანდებადღეს შავი-ქვის საზოგადოების საქმის სათავეში; ის მართავს ამ 188 კაცის საქმეებს; მას უკავია ხელში ამ ხალხის ბედი. ჩვენ ვხედავთ, რომ საქმეები უკან და უკან მიდიან, ვხედავთ, რომ „შავი-ქვის საზოგადოება“ არ დგას კანონიერს ნიადაგზედ; ვხედავთ, რომ საზოგადოების საქმე დიდს განსაცდელშია. ვატყობთ, რომ მას ეთხრება ძირი, წიწკინებს და თან-და-თან ინგრევა ეს თავში კარგად დაწყებული საზოგადო საქმე. ჩვენ გვსურს ვუშველოთ, დროზედ ვიღებთ

---

*) იხ. „ივერია“ № 210.

*) კურსივი ჩვენია. ავტ.

**) ჩვენი პასუხის დასამტკიცებლად შეიძლებოდა მოგვეყვანა კიდევ ბევრად მეტი საბუთები, მაგრამ ბ-ნ ზდანოვიჩმა არ მიგვიშვა საზოგადოების საქმეებთან, რაც კანონიერად ვსთხოვეთ. დასამტკიცებლად ვარდგენ აქ, რედაქციაში *) ჩემს თხოვნას ზდანოვიჩის უარის ზედ წარწერით. ავტ.

*) ეს საბუთი ნახა რედაქციამ. რედ.

ენერგია და ნიჭი საერთა-შორისო ცხოვრების ახალ ვითარებას შეეფეროს, ევროპიული კულტურა შეითვისოს, რის მაგალითებიც უკვე თვალ-საჩინოა. თვით პროცესი ამ ახალის კულტურის შეთვისებისა, ამ ერის ზემორე ჩამოთვლილ განსაკუთრებულ თვისებათა წყალობით, სხვა ერთა განვითარების პროცესისაგან რამდენათმე განსხვავებულია, განსხვავებულად სწარმოებს იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია ის ვითარება, რომელშიაც სცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი ერი. ამისდა მიხედვით, კაცობრიობის იმ პატარა ნაწილს, რომელსაც ქართველობა ეწოდება, საზოგადო მოღვაწეც **განსაკუთრებული** სჭირდება. აქედან თავისთავად იბადება ჩემი **ნაციონალური** მოღვაწეობა, რომელიც იმავე დროს არის ერთად-ერთი რეალური, შესაძლო და ხელ-მისაწდომი ჭეშმარიტი „კოსმოპოლიტური“ მოღვაწეობა, მე ჩემ ერს უფრო კარგად ვიცნობ, მრავალგვარ ინტერესებითაც ვარ მასთან დაკავშირებული და, ცხადია, მის სასარგებლოდ უფრო შემიძლია ვიმოღვაწო, ვინემ სომეხთა ან სხვა ერის სასარგებლოდ; და ესეც რომ არ იყოს, მათ ხომ თავიანთი მზრუნველებიც საკმაოთა ჰყავთ.

„ასეთია ჩემი პრაქტიკულ ფილოსოფიის პირველი ნაწილი—ჩემი **საზოგადოებრივი პრაქტიკული ფილოსოფია**!

II

„რაც შეეხება ჩემს **კერძო პრაქტიკულ ფილოსოფიას**,—დღეს ჩემი შინაგანი არსება გარემოცულია სამის უმთავრესი მისწრაფება-მოთხოვნილებით: 1) **ძებნა მომავალის მეუღლისა**, 2) მოთხოვნილება **გონებრივი** და 3) **ესთეტიური**.

„რა თქმა უნდა, რომ პირველ შემთხვევაში მე ვემორჩილები წმინდა ფიზიოლოგიურს აუცილებლობას, (სქესებრივს გრძნობას), მაგრამ ამ აუცილებლობას, იმავე დროს, თან ახლავს ორი ისეთი მოტივი, რომელიც გაცილებით მაღლა სდგას წმინდა ფიზიოლოგიურს მოთხოვნილებაზე და ჩემს გადაწყვეტილებას (ცოლის შერთვის შესახებ) შესაფერს ზნეობრივს სიმაღლეზე აყენებს.

„აქ არას ვიტყვი იმ ფიზიოლოგიურ მოტივის შესახებ, რომელმაც მე ცოლის შერთვა გადამაწყვეტია, რადგან შენ უჩემოთაც კარგად იცი, რომ სქესებრივ მოთხოვნილების კანონიერ დაკმაყოფილების სურვილი ჩემის ხნის ახალგაზდა კაცისთვის არც სათაკილოა და არც არავისგან გასაკიცხი.

„რაც შეეხება იმ აზრს, თითქოს საკუთარი ოჯახის გაჩენა ძირიანად არღვევდეს და ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივს მოღვაწეობას,—ამის წინააღმდეგ შემდეგი მოსაზრება იბადება: ჩვენი ერი მცირეა რიცხვით (2,000,000); თუ გვსურს **დიდი რამე** გავაკეთოთ, საჭიროა როგორც კულტურული ზრდა, ისე რიცხვით მატებაც, რათა საერთაშორისო სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სხვა ხალხთა რაოდენობამ არ გაგვსრისოს; მაშასადამე, ყოველი ჯანსაღი მამულიშვილი ვალდებულია თავის სამშობლოს, სულ მცირე, ერთი წყვილი ქალ-ვაჟი მაინც მოუმზადოს და დაუტოვოს. აქ, როგორც ვხედავთ, ფიზიოლოგიურს მოტივს **ნაციონალური მოტივიც** მხარს აძლევს.

„ამას გარდა, ვინ არ იცის, რომ ყოველი ადამიანი სუსტია და არა სრული. მეც ადამიანი ვარ და არც გასაკვირია, რომ შემდეგი მოტივი მამოძრავებდეს: მე მსურს, რათა ჩემ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ჩემს გეგმას და მისწრაფებას გულწრფელი **თანამგრძნობელი და დამფასებელი** ჰყავდეს, მსურს, ერთის თვალში მაინც ექმნას აზრი და მნიშვნელობა ჩემს განზრახვას და მოქმედებას მაშინ, როცა სხვები ვერ დააფასებენ ან განგებ თვალს აარიდებენ. ვიცი საზოგადო მოღვაწის დამფასებელი ისტორიაა და შთამომავლობა; მაგრამ ისტორიის და შთამომავლობის მსჯავრი—რაღაც განყენებულია და შორეულს მომავალს ეკუთვნის ცოცხალი ადამიანისათვის-კი საჭიროა ის განყენებული მსჯავრი აწმყოშიაც ჰპოებდეს მცირე ოდენს მაინც განხორციელებას. ერთის სიტყვით. საჭიროა ჩემს მოღვაწეობას თანამედროვე დამფასებელიც ჰყავდეს. ასეთი დამფასებელი შეიძლება და სასურველია იქმნას, ჩემის ფიქრით, საყვარელი, შეგნებული დ გულწრფელად მოყვარული მეუღლე. მე მსურს, ეს ერთი თანამგრძნობელი ადამიანი მაინც წამახალისებდეს სამოღვაწეოდ, ეს ერთი მაინც მაქეზებდეს ცხოვრების ტალღებთან საბრძოლველად, ენერგიას ჩამბერავდეს, ზნეობრივად შემამაგრებდეს და მანუგეშებდეს მაშინ, როცა ჩემს გულწრფელ საზოგადოებრივს მოქმედებას ათასი მტერი და უმადური გამოუჩნდება, ან გულ-გრილობა გადაეღობება წინ და სხვ.

„ამ რიგად, სქესებრივი გრძნობა, გრძნობა ნაციონალური და კაცობრიული „სისუსტე“,—ყოველივე ერთბაშად ჩამომძახის და მიძლიერებს მისწრაფებას—ცოლი შევირთო.

„მაგრამ ამ უმთავრეს მისწრაფებას გარდა ჩემ ში, როგორც კერძო არსებაში, დღეს, როგორც ვთქვი, არა ნაკლებ გაბატონებულია გონებრივი და ესტეტიური მოთხოვნილებანიც. პირველნი (გონებრივნი მოთხოვნილებანი) მაიძულებენ თანამედროვე მეცნიერებას და. საზოგადოდ, ლიტერატურას თვალყური ვადევნო და, რამდენადაც შესაძლოა, ხელი შევუწყო ქართულ ენაზე სამეცნიერო ნაკვლევთა გადმონერგვას და გავრცელებას ისე, როგორც ჩვენის ერისა და სამშობლო ქვეყნის ყოველმხრივ შესწავლას. ხოლო მეორენი (ესტეტიური მოთხოვნილებანი) ჩამძახიან და ვალად მდებენ თვალყური ვადევნო და, შეძლებისადაგვარად, ხელი შევუწყო ჩვენის ნაციონალურ პოეზიის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების და მხატვრობის შესწავლასა და განვითარებას. ეს ორი მოთხოვნილება ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობასთანაც მჭიდროთაა შეკავშირებული.

„ასეთია ჩემი ფსიხოლოგია, როგორც კერძო არსებისა. უეჭველია, აქ ჩამოთვლილ კერძო მოთხოვნილებათა ნორმალური დაკმაყოფილება ერთი-ათად გამიძლიერებს ენერგიას, შემმატებს მხნეობას და საზოგადო ასპარეზზე კიდევ უფრო მეტის ხალისით მამოქმედებს. აქ თუ მაგრადა ვარ, თუ კერძოდ თავს კმაყოფილად ვგრძნობ, საზოგადო საქმისთვის რომ კიდევაც მდევნონ, სიმართლისთვის რომ კიდევაც მაწამონ, მაინც გულს არ გავიტეხ, არ შევდრკები, რადგან ყოველთვის მექნება ზნეობრივი ნავთსაყუდელი, რომელსაც ქარტეხილის დროს თამამად თავს შევაფარებ: ოჯახი და საყვარელი მეუღლე, მეცნიერება და ესტეტიკა!

„ასეთია ჩემი კერძო და საზოგადოებრივი პრაქტიკული ფილოსოფია, ასეთია ჩემი კერძო და საზოგადოებრივი დოღმატი!“

ასე თავდება ჩემის მეგობრის წერილი, რომელიც მე იმდენად საყურადღებო მეჩვენა (ვგონებ ასეთი ჩვენის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ფსიხოლოგია), რომ მიღების მეორე დღესვე ავტორის თხოვნით მივმართე, გამოვაქვეყნებ შენს წერილს და ნება დამრთე მეთქი. ავტორმა თანხმობა გამომიცხადა და ახლა ვბედავ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გავაცნო იგი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას.

ს. ინ-კანელი.

ხმას, მაგრამ ამ დროს დაგვსევიან ყოველ მხრივ ჭილყვავები და თავიანთი ჩხავილით სურთ დაგვამუნჯონ. დიახ, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ხმის ამოღება. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ბ-ნ ზდანოვიჩთან და მის ვეზირებთან. ჩვენ ვდებთ მათ სამართლიან ბრალს ამ საქმეში. ეს საქმე არაა ერთი და ორი კაცის, ეს ეკუთვნის ნახევარ ქიათურას, თითქმის ორას კაცს; ამ საქმით იმედობს ამოდენა ხალხი. ამით სურთ ჭამონ ლუკმა და არჩინონ ცოლ-შვილი. ეს საქმე არაა მარტო ვიწრო კომერციული; ეს საზოგადო საქმეა, ამიტომ ამაში უნდა ჩაერიოს ყოველი შეგნებული და პატიოსანი კაცი, ჩვენი ჭეშმარიტი ინტელიგენცია და პრესსა. ამიტომ ბ-ნი ზდანოვიჩი ზნეობრივად მოვალეა პასუხი გაგვცეს ან მწერლობით, ან სინიდისის (საამხანაგო) სამსჯავროთი. ჩვენ ვსთხოვთ, არა, ჩვენ ვთხოულობთ, რომ გვიპასუხოს ბ-ნ ზდანოვიჩმა! რისი ეშინია, თუ იგი მართლაც ჭეშმარიტი მოღვაწეა და დგას სიმართლის ნიადაგზედ?! რისი ეშინია, როცა მას დღეს ყველა მეგობრობს, ყველას ერიდება, და ბევრს ეშინია მისი?! რათ იმალება, როცა შავი-ქვის საზოგადოების წევრები ყველა მის ხელშია?! რად მუნჯობს, როცა ზოგიერთი რედაქციებიც-კი მას ქურუმობენ და თაყვანობენ?! ჩვენ-კი არ გვაქვს ნივთიერი გავლენა. არ გვყავს ერთგული და ძლიერი მეგობრები, დაკეტილია ჩვენთვის ზოგიერთი რედაქციის კარებიც-კი, არ გვაქვს ნივთიერი შეძლება და 10—12 ათასი მანეთი ჯამაგირები, ჯილდოები და კიდევ სხვა რამეებიც... ჩვენი მფარველია მხოლოდ ჭეშმარიტება, ჩვენ გვამხნევებს სიმართლე და ჩვენი იარაღია მხოლოდ სიტყვა და კალამი რომელიც ასე რიგად სურთ, რომ წაგვართვან ხელიდან. ამასთან ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს საზოგადოების და ხალხის შეერთებულ სინიდისის და მართლ-მოყვარეობის, მაგათ ერთ რედაქციასაც-კი მიმართეს მუქარით და საყვედურით, რათ უბეჭდავთ ქვარიანს წერილსაო, აუბატონებო არც ამ „ლამაზს“ საშუალებას დაერიდნენ, მაგრამ მწამს, რომ ამით ფონს ვერ გავლენ! გაზეთი მოვალეა მოგვცეს გზა! რედაქცია მოვალეა გვათქმევინოს სიმართლე! გაზეთი უნდა იცავდეს საზოგადო ინტერესს და უნდა მფარველობდეს ბეჩავ ხალხს, მრეწველთ, რომელთაც არა აქვს ენა და მათ ნაცვლად იდებენ ხმას აგერ სხვა პირები და ჰსურთ ზოგიერთს არ დააჩაგვრინიან ისინი „მუშაკებს“ „თავ-დადებულ მოღვაწეებს“. დიახ, გაზეთმა უნდა გვათქმევინოს ყველაფერი, რაც-კი შეეხება საზოგადო საქმეს. „შავი ქვის საზოგადოების“ საქმეც საზოგადო საქმეა...*)

ნეტა რად გვისევს ბ-ნი ზდანოვიჩი რგანელს, კიტას და „ცნობის ფურცლის“ კოშკში მიმალულ დამურებსა და ქამელეონებს, რომელთაც არ ესმით საქმე, ამახინჯებენ ფაქტებს, იჯანძღებიან ურცხვად და რომელთადმი ზიზღი მისულა სიბრალულის საზღვრამდე! ნეტა რათ ათამაშებს ამ თავის მეგობრებს ასე სამარცხვინო როლს?! იქნებ მართლაც არ იმცირებს თავს ეს „დიდებული მოღვაწე“, ეს ქუთაისის ცეზარი არ კადრულობს ქვარიანთან ბაასს და სამსჯავროში გამოსვლას?! მაგრამ ჰომირის თქმით ელინთა ღმერთებიც-კი ებრძოდნენ უბრალო მიწიერთ. ბ-ნი ზდანოვიჩი-კი რა შეიქნა ნეტა ამისთანა?!

ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ კეთილინებოს და გვიპასუხოს თვითონ ბ-ნმა ზდანოვიჩმა, დაგვიმტკიცოს თუ მართალს არ ვამბობთ. ეს არის მისი მოვალეობა. ამაში დამეთანხმება მთელი მკითხველი საზოგადოება.

ახლა ორიოდე სიტყვა ბ ნ კიტა აბაშიძეზედაც. გარდა ფაქტების ძირითურ დამახინჯებისა და უზომო ლანძღვა-თრევისა, რომლებზედაც, ზევით ვსთქვით, ამ ჟურნალისტმა დამდო კიდევ საშინელი ცილის წამება; მან მიწოდა ცრუ, მედანოსე და საზოგადოების ფულის 700 მანეთის შემჭმელი. მასთან უწოდა ჩემს მოქმედებას კალისტრატური ლაქუცი და სხ. ამ უმართლო სიტყვებით მან შელახა ჩემი ადამიანობა, კაცური ღირსება, სახელი, პატიოსნება და საშინელი ჩირქი წაცხო ჩემს წმიდათა-წმიდას, ჩემს სინიდისს. მე ვგონებ, როცა ამას წერდა, იმ დროს ბ-ნი კ. აბაშიძე იყო სრულს ჭკუაზედ და შეგნებაში. მასთან ბ-ნი აბაშიძე თავის თავს ეძახის განათლებულს კაცს, ლიტერატორს, მასთან რუსის დიპლომიც აქვს ხელში და, როგორც იურისტს, კაცის უფლების მცოდნეს, კარგად უნდა სცოდნოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. თქმულა: კალმით ერთ დაწერილს ათასი შალაშინიც ვერ წაშლისო. დასტამბული სიტყვა ვრცელდება საზოგადოებაში, ხალხში, მთელს ერში და გადადის შთამომავლობაში, ამიტომ ბ-ნ აბაშიძის მოქმედება მიმაჩნია უუსაშინელეს დანაშაულად. როგორც იურისტი და ლიტერატორი, თითონვე უნდა დამეთანხმოს ამაში და, თუ აგრეა, მაშ წინ-და-წინ ცოდნებია რასაც სწერდა და სჩადიოდა. აქ მოყვანილი ბ-ნ აბაშიძის ჩემდამი ბრალდება იმგვარია, რომელზედაც მწერლობითი პასუხი არ მიეცემა, (რაზედაც პასუხი მიეცემოდა კიდეც გუპასუხეთ), მე-კი არ უნდა დავამტკიცო, რომ არა ვარ ცრუ, მედანოსე, საზოგადოების ფულის შემჭმელი ან კალისტრატისტი, არამედ ბ. კ. აბაშიძემ უნდა დამიმტკიცოს ყოველივე ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს შესაფერი სასჯელი. ბ-ნ აბაშიძის პასუხის მოსათხოვნად არსებობს სამი საშუალება, მაგრამ მათში მსურს ჯერ მივმართო ყველაზედ უფრო კულტურულს: ესაა სინდისის ანუ საამხანაგო სამსჯავრო. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი კიტა აბაშიძე, როგორც ინტელიგენტი, დათანხმდება ამ საამხანაგო სამსჯავროში გამოსვლას. ამის შესახებ კიდეც მივუგზავნე მისი საუკეთესო მეგობარი პატივცემული ახალ-გაზრდა იასონ ბაქრაძე; (ჯერ პასუხი არ მიმიღია). ჩემს მსაჯულებს დავასახელებ ამ მოკლე ხანში და ვსთხოვ შეამზადოს მანაც თავის მხრივ. მსურს, რომ იქნეს მსაჯულებათ არჩეულნი ყოვლად პატიოსანი, განათლებული და შავიქვის საზოგადოების გარეშედ მდგარი პირნი. მსურს აგრეთვე, რომ იყვეს გამოცხადებული ყველა ქართულ გაზეთებში მსაჯულთა დადგენილების ვრცელი ოქმი. აქ ბ. აბაშიძეს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ მას ბევრი გავლენიანი მომხრე და მეგობრები ჰყავს, მე კი, როგორც მოგახსენეთ, ვარ ერთი ღარიბი კაცი. ჩემკენაა მხოლოდ ერთი სიმართლე. ამ სახით ვათავებ მწერლობით კამათს ბ-ნ კიტა აბაშიძესთან საქმის გასჯამდე და დამთავრებამდე.

სიმონ ქვარიანი.

---

*) საშინელია კიდევ ის ფაქტი, რომ ბევრს უნდათ ამ საქმეზედ ხმის ამოღება, მაგრამ ვერ ბედავენ ბ-ნ ზდანოვიჩის და მისი ვეზირების რიდით და შიშით, რადგან მათი დასახრჩობი თოკი ხელში უკავიათ ამ „თავდადებულ მოღვაწეებს“. ასოთ-ამწყობი.

ნარევი და ნაკვესი

გურული ლომი.

(სცენა)

მეგრელი. პატონი, გურულო! რაფერლა აგი, რომ თქვენებური ლომი ძალიან კაია და მე-რომ ვერ დავამზადე მაგისთანაი. ჩვენი ქიფილის ლომი თავი რომ მეუწევე იფშვიკა, ქე შევარდა კეკალ დვიროზე; მაგი რაცხაა, სწორეფ რომ კაია, პაგას თუ მასტავლი ერთი ორქო მოხუო, კი მოგცემ—ორქოს თვარ მთხოვ, ძორხის მარწონს, რამდენიც გინდა, მოგიტან.

გურული. აგი არ იცი, შესაცოდავო აბა! მიყურე, კარგად მიადექი, ადგილი ფხიკე, ფხიკე, ფხიკე ისე გადაფხიკე, რომ რავაც ჩემ ხელის გულზე აფერია, თლა ისთე მოაქციე. მიადექი მერე მერულე, მერულე, მერულე—ფოცხე, ფოცხე, ფოცხე დააყენე ეგერ-აგერ გვანი; მერე, აფცქვიე კეკალი, აფცქვიე, აფცქვიე, თესე იქით-აქეთ, წაღმა-უკუღმა; ამუა მარგლე, მარგლე, მარგლე, ნამარგლი მერე ფოცხე, ფოცხე, გააკანკალე მთლათ ყანა. გეიკეთებს თაველს, მიაყენე ქალები: ქრისტინაი, დესპინაი, კასინაი, ფოტინაი, მარიკაი, ჯაჯიკაი, ამანაო, იმანო, მიეცი ხელში ღინწკულაი, აწეკვიე, აწეკვიე, აწეკვიე, ჩაყარონ სახვაოში, სახვაოდგან გორიცაში, გორიცაიდგან გოდორში; გოდრით წეიღე ნალიაზე და მუახვავე. მარა ახლა ნალიას არ იკითხავ, რაფერ უნდა გაკეთება. მოჭარი ოთხი ბარჯგი, დაასვე, გადევი ზეთ დვირო, მოაცვი კავები, დაჭოკე, ჭოკები დააწირეხე მაგრათ მოსდექი, მერე ჭერე,—ჭერე, ჭერე, ჭერე, მერე ბუდნე, ბუდნე, ბუდნე, ისე მობუდნე, რომ ციმციმი არსაიდგან არ შემოვიდეს. ასე რომ გააკეთო, მუახვავე ჭერზე ლომი, დააყენე კალოთ, ნალიე რომ გააფსო, გადუზავე, მერე ლომს, გაასართე კარგათ, სალამოს მიეცი ქვეშიდგან ნელი, ცეხლი; არ თქვა არ ამეიდანდარო თავი. უფუტე, უფშუკუნე, უფუტე, უფშუკუნე... აწყვე, აწყვე, აწყვე, გამწყვარს შიატყოფ იმით, რომ ლომს ოფლი გამუუა, რომ შიაშრება იგია ე, მაშინ ხომ გამწყვარია. წეიღე საცეხველზე, შეაყენე ზეთ შენი ჯაჯიკაი, აცეხვიე, აბრეგვიე, აცეხვიე, აბრეგვიე, ცეხვე, ბრეგვე, ბრეგვე და ბრეგვე. ამოიღე ჩამურიდგან, მიაყენე ქალი, ანიავოს, ანიავოს, ანიავოს სანამდე კაბის კალთაი არ შემუაგლეჯს, გამორწყე მერე კარდალაი, თუ პაწეი გინდა კაპჭანაი. რეცხე, რეცხე, რეცხე, სანამდის წყალი დაკანკასდებოდეს. შემოკიდე ცეხლზე, დუუნთე ცეხლი ქვეშიდგან, დეიკავე ხელში ლაფერაი ლოპრე, ლოპრე, ლოპრე, მერე აშუშე, აშუშე, აშუშე, ჩამოდგი მერე ძირს, გამოჩხრიკე ღადარი და ჩადგი კარდალაი შით, დეიკავე ხელში ჩოგანი და ზილე, ზილე, ზილე, ზილე, ზილე, შემოკიდე ისევლე ცეხლზე და კიდევ აშუშე, მერე ამოარიგე ლაფერაით სეინზე, უბერე სული, უბერე, უბერე, უბერე, უბერე, უბერე.....

მეგრელი. დამეთხუე, პარტონი, არ მინდა, მაგას მე კი, არა ჩემი შვილის-შვილი ვერ მიესწრება, ისთევლე ჩემი ქიფილის ლომი ჯობს.

გურული. აბა რაფერ გინდა, შენ ქურტო მეგრელო, თვარ გააცივებ, პირს დაგწვავს და დასტრახული ხომ არ გაქ...

ნოლოპა.

ბიბლიოგრაფია

Программа для собиранія этнографическихъ предметовъ 1902 г. (პროგრამმა ეთნოგრაფიულ ნივთების შეკრების შესახებ).

ამ ჟამად იმპერატორ ალექსანდრე მე-III სახელზე დაარსებულ მუზეუმს განზრახვა აქვს გამართოს ეთნოგრაფიული განყოფილება, რომლის დანიშნულება იქნება—ხელი შეუწყოს მეცნიერულ განხილვას სამშობლო ეთნოგრაფიისას. ამ აზრის განხორციელება შესაძლო იქნება მას შემდეგ, როცა მოხსენებული განყოფილება შეაგროვებს რუსეთისა და მოსაზღვრე ქვეყნების ყველა ერისა და თემის სულიერ და კულტურულ დამახასიათებელ საკმაო მასალას. ამიტომ ეთნოგრაფიული განყოფილება მუზეუმის სთხოვს ყველა კერძო კაცთა და დაწესებულებათ, რომელნიც ასე თუ ისე ახლო სდგანან ხალხის ცხოვრებასთან, რომელნიც ახლოდ იცნობენ რუსეთის სხვა-და-სხვა ქვეყნის ერის ვითარებას, აღმოუჩინონ შესაძლო დახმარება ეთნოგრაფიულ კოლექციების შესადგენად მომავალ საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. განყოფილებას არა ნაკლებ სასარგებლოდ მიაჩნია: 1) მიიღოს ცნობანი ყველა იმ კერძო კაცთა შესახებ, რომელთაც ამ ჟამად შეგროვილი აქვთ ამ მხრივ გამოსადეგი კოლექციები და 2) შეჰკრიბონ ცნობანი იმათ შესახებ, რომელნიც განყოფილებას დახმარებას აღმოუჩენენ კოლექციების შეგროვებას საქმეში. ადგილობრივ ეთნოგრაფთა და კოლექციების შემაგროვებელთა შორის მას უფრო გასაადვილებლად განყოფილებას შეუდგენია სახელმძღვანელო პროგრამმა, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა გვარ კოლექციებს უნდა მიექციოს პირველ ხანებში უპირატესი ყურადღება.

განყოფილებას აღნიშნული აქვს თავის პროგრამაში ყველა ის დარგი კოლექციებისა, რომელიც დაახასიათებს ამა თუ იმ ერის: 1) ბინადრობას, შენობას, სახლებს და მის სამკაულებს; 2) ტანთსაცმელს და სხვა მორთულობას. 3) ხალხის ცხოვრების ტეხნიკას; 4) სასმელსა და საჭმელს; 5) მუშაობის და ხელოვნების ამა თუ იმ დარგს; 6) შინაურ ყოფა-ცხოვრებას; 7) ცრუ მორწმუნეობას და მკითხაობას და 8) სახალხო მედიცინას.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მთავარი გამგე მოხსენებულ მუზეუმისა ახალგაზდა სწავლული, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ინოსტრანცევი, რომელიც აგროვებს ყოველგვარ კოლექციას თანახმად პროგრამის მოთხოვნილებისა და აგრეთვე ჰკრებს ცნობებს ყველა იმ კერძო კაცთა და დაწესებულებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიანთ დახმარება აღმოუჩინონ მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილების განზრახვის განხორციელების საქმეს.

სასურველია, რომ ჩვენის ეთნოგრაფიის მოყვარულნი შეძლების-და-გვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ ბ ნ ინოსტრანცევს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მოხსენებულ კოლექციებს ქართველთა ერის შესახებ დიდი მნიშვნელობა ექმნება მომავალ მუზეუმის განყოფილებაში.

ა. მ.

„ივერიის“ ფოსტა:

მოზდოკი გ. ლ—რს. თქვენი წერილი „ჩემ კახაბერს“ არ იბეჭდება.

ქუთაისი. სიმართლე. „გზა და გზა“ არ იბეჭდება.

ს. ლ—ში. ა. ზ—ის. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მიჰმართეთ სათანადო დაწესებულებას. ის გაარჩევს ყოველსავე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ოკდომბერი.

სოფია. მაკედონელთა სასარგებლოდ გამართულს მიტინგზე ილაპარაკა მიხაილოვსკიმ და უკმაყოფილება გამოაცხადა, რომ ოსმალნი ბატონობენ მაკედონელთა ქრისტიანებზეო. მიტინგის გარდაწყვეტილებაა, ვთხოვოთ მფარველობა მაკედონელთათვის ბოლგარიასა და დიდთა სახელმწიფოთაო.

კილი. მოვიდნენ ნაღმიანი გემები „სმეტლიკი“ და „პროვორნი“.

სოფია. კურთხევა მეფის—განმათავისუფლებელის ძეგლისა დანიშნულია მომავალის წლის 30-ს აგვისტოს.

ბელგრადი. კაბინეტში მოჰყვნენ: მინისტრ-პრეზიდენტი და საზოგადო მუშებისა ველიმი-როვიჩი, უცხო საქმეთა—ანტონიჩი, საშინაო საქმეთა—ტოდოროვიჩი, ფინანსთა—მიშ-რადოვაკოვიჩი, იუსტიციისა—ნიშიჩი, საერო მეურნეობისა—ნიკოლიჩი, სამხედრო მინისტრი—მილან პავლოვიჩი, საერო განათლებისა—მარკოვიჩი.

ვენა. სალონიკიდგან იუწყებიან, ბრბოს უფროსი იანკოვი შეიპყრეს ბოლგარელებმა არა-რევოლიუციონერებმაო.

8 ოკდომბერი

ლონდონი. სათემო პალატაში კრანბორნმა სთქვა, რომ პოლკოვნიკ სვეინის რაზმის გასაძლიერებლად მოიწვევენ ინდოეთის ბატალიონს და აფრიკის ბატალიონის ნაწილს. თუ საჭირო იქნება კიდევ გაჰგზავნიან ახალ მეშველ ჯარებს.

კონსტანცი. 6 ოკდომბერს აკურთხეს, რუმინიის ტახტის მემკვიდრის თანადასწრებით მეუღლითურთ, არხი პულჩესა და სულინოს შუა.

იარანსკი. სამაზრო კრებამ ერთხმად დაადგინა რეალურ სასწავლებლის გახსნა.

გლაზოვი. საერო კრებამ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას დაედვას გარდასახადი 10 კაპეიკი ერთ ვედრო ღვინოზე სახალხო განათლების სასარგებლოდ.

იერუსალიმი. მთელ პალესტინის ნაპირებზედ დარდგენილია ათ დღიანი კარანტინი იერუსალიმისა და იაფფას შორის შეწყვეტილია რკინის გზით მიმოსვლა, ფოსტა იგზავნება ეტლებით.

ოდესა. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ინახულა იუნკრის სასწავლებელი და პუშკინის სახელზედ აშენებული დაუძლურებულ მწერლების თავშესაფარი და გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ.

სოფია. საერო კრება დანიშნულია 15 ოკდომბრისათვის. 6-ს ოკდომბერს სოფიაში, ფილიპოპოლში, სლივნაში და სხვა ქალაქებში მოხდა მიტინგები. ამ მიტინგებზედ დადგენილი რეზოლიუციები იწვევენ მთავრობას, რათა მან ენერგიულად მოითხოვოს ბერლინის ხელშეკრულობის მე-23 ე მუხლის ასრულება.

ლონდონი. ალჟირსა და მოსკოვს შორის დავა საზღვარ ფეცის შესახებ და დაწყნარდა. საფრანგეთმა შეინარჩუნა დაჭერილი ადგილები. ხონთქარმა უარ-ჰყო საეპირატესო გადასახადთა განხილვა. სვაინს 23-ს ოკდომბერს ორჯელ მოუხდა შეტაკება მულლებთან. ინგლისელების მხრით მოკლული და დაჭრილია 4 ოფიცერი და 150 ჯარის-კაცი. სვაინი დაბრუნდა შოგოტში და უცდის მეშველ ჯარებს.

სოფია. ხალხის აჯანყება თან-და-თან მატულობს. ლუშკოსა და ლაგოდასთან მეამბოხეთ დაამარცხეს თურქები. მეამბოხენი გამაგრებულნი არიან მდ. სტრუმის აქეთ-იქით ვიწროებში. ჯუმასა და სხვ. ვილაეტებს შორის მისოსვლა შეწყვეტილია. აქაური გაზეთები ერთხმად სწერენ მეამბოხეთა გამარჯვებაზედ. გენერალ ცონჩეს, პოლკოვნიკ იანკოვის და პოლკოვნიკის ნიკოლოვის გარდა მეამბოხეთა რიცხვში იმყოფებიან მაკედონელნი ოფიცრები და 15 უნტერ-ოფიცერი.

პეტერბურგი. სტამბოლის საელჩოს პირველი დრაგომანი მაქსიმოვი დაინიშნა სადიპლომატო აგენტად და საგენერალო კონსულად ეგვიპტისა—პეტერბურგის სამაზრო საერო კრებამ გადასდო 1904 წლისათვის ხარჯი 662,000 მანეთი.—საერო განათლების მინისტრმა ნება დართო სახელ-საქმო შრომის შემოღება ზოგიერთ დაბალ სასწავლებლებში. გზათა სამინისტრომ შეიმუშავა ოლქებში ახალ შტატების შემოღება.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,25
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	354 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	176½ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

1. მელქისედეკ და ნიკოლოზ ჩხეიძეებისა, ნესტორ ხიდირბეგიშვილისა და ნიკოლოზ ჩიკვაიძის დავა.
2. სტეფან ჯანჯღავას დავა ანტონ საჭინავასთან 79 მ. და 14 კაპეიკზედ.
3. ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობის და ლუკა თათეიშვილის დავა 32 მ. 50 კაპეიკზედ.
4. კონსტანტინე და დათო კალანდიათა.
5. პელაგია გოთუას დავა 36 მ. 60 კაპეიკზედ.
6. ძალვან, სვილია, მელიტონ და კონსტანტინე კვარცელიათა, და თ-დთ ილიკო, პლატონ და სხ. დადიანთა და ლევან აფაქიძის დავა ლალაზედ.
7. გრიგოლ მეტრეველისა და ვარდან თურქიას დავა ანგარიშებზე.
8. სახაზინო მამულების მმართველობისა ს. ვაქირში მცხოვრების სვიმონ მაისურაძისა და ნიკოლოზ ყულიჯანოვის დავა.
9. ივანე ბაქრაძის დავა ეფროსინე მგალობლიშვილთან.
10. გლახო ვაფილიშვილის და თომა გოგნიძის დავა.
11. სოლომონ ფიცხელაურისა და ილიკო კაჩაურის დავა ვენახსა და 50 მანეთზედ.
12. ივანე გაჩეჩილაძისა და პავლე და რომან ჩინჩალაძეების დავა 80 მანეთზედ.
13. მიხეილ თოდუაძის და მიკიჩ ყარამიანცის დავა 42 მან.

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

ძირა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ. კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„ 30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3 „
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„ 20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„ 10
Бальваръ и Іодасафъ, А. Ханова	„ 60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1 „

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая,д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.